

კვირა, 8 აპრილი.

1912

ფასი ერთი საზოგადო განაცხადის სახელით

# ჯოვანის მუსიკა

საოხუნჯო აღმანახია გამოვა დრო გამოშვებით სხვა და სხვა სახელით.

( აღრჩევი: პოლგორნაია, სერგ. ბერსამია. )

№ 1.

აღმანახი

№ 1.

† მიმდინარე ვახტანგ ვახტანგის ძე ჯავახაძე-  
ორბელიანი.

(დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო).

ცნობილი მცოდნი ვახტანგ ორბელიანი დაი-  
ნალ 5 აპრილს 1812 წელს. მამა მისი პოლკოვ-  
ნიკი 3. ორბელიანი შვილის დაბადების წელსვე  
გარდაიცვალა. დედა მცოდნი ვახტანგ ორბელიანი-  
სა თევლე, მეფე მრეკლე მეორის ასული იყო, ის  
კარგა მცოდნე იყო იმ დროინდელ და ძველ ქარ-  
თულ მწერლობისა, აგრეთვე ის იყო განათლებით  
და სათნაებით შემკული ადამიანი. მომავალი ავ-  
ტორი „ობოლის“ და „იმედის“ 13 წლიმდის იზ-  
რდებოდა დედის მზრუნველობის ქვეშ. შემდეგ  
1825 წ. ის გაგზავნებ პეტერბურგს, სადაც მიღებულ  
იქმნა პაჟთა კორპუსში. აქ ვახტანგი გაიტაცა გიო-  
რგეს, შექსპირის, შილლერის და 3. პიუგოს ნაწე-  
რების კითხვამ. თუმცა მან სწავლაში დიდი ნიჭი  
და უნარი გამოიჩინა, მაგრამ ჩრდილოეთის ცივმა  
და სუსხიანმა პაჟმა მასზე დიდი გავლენა იქონია  
და ამიტომ იგი იძულებული იყო სამშობლოში  
დაბრუნებულიყო. 1832 წელს 20 წლის ვახტანგმა  
მიიღო მონაწილეობა ცნობილ შეთქმულობაში რო-  
მელიც მოხდა ია ვალავანდიშვილის, ბერ ვილა-  
დედოს რიკაძის, ხოლომონ ლოდაშვილის და  
სხვათა მეთაურობით. შემდეგ ია ვალავანდიშვილმა  
შეთქმულნი გასცა. სულ ყველანი დააპატიმრეს  
სხვათა შორის ვახტანგიც. მთავრობაშ იგი დიდ  
დამნაშავეთ სცნო და გადაასახლა ქალუგაში.  
1837 წ. 4 წლის შემდეგ დაბრუნდა ისევ სამშობ-  
ლოში და 1838 წელს ის მიღებულ იქმნა „პრა-  
ზორჩიქათ“, „ნიუეგოროდის პოლკში“. შემდეგ რა-  
საკეირველია იმის ჩინმა იმატა. ის გარდაიცვალა  
1890 წელს 29 სექტემბერს. მაშინ ის უკვე ღენე-  
რალი იყო.

პირველი მისი ლექსი „ბულბული“ დაიბეჭდა  
„ცისკარში“ 1857 წ. ე. ი. როცა მცოდნი უკვე  
35 წლ. იყო. ვახტანგ ორბელიანი ერთი საუკე-  
თხო მწერალია ჩვენში პატრიოტულ ლირიკისა.  
მის ნაწერების კრიტიკული გარჩევა აქვს ქ. აბაში-  
ძეს. (ეტიუდები ტ. I), ა. ხახაშვილს (იცერ. T.  
IV). მისი სრული თხუზულება გამოიცა 1894 წ.  
ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი მოკლე ბიო-  
გრაფიით.

## ხოსტა და რსია.

ხოსტა. გამარჯობა მსია.

თსა. გაგიმარჯოს ხოსტა. ხად ყოფილხარ,  
რა გინახავს?

ხოსტა. შევიარე წმინდა ნინოს სასწავლებელში  
ბავშის ამბავი მინდოდა გამეგო და სასწავლებლის  
გამგე ვნახე... მიუსამძიმრე ინსპეკტორის გადაცვა-  
ლება...

თსა. ვორ სავადენია! მეც ვიყავი ქალების  
უფასო სასწავლებელში ამბის გასაგებათ და მეც  
გამგე ვნახე... რა გაიგე წმ. ნინოს სასწავლებელში  
ახალი?

ხოსტა. ახალი არაფერი. მხოლოდ მოუსამძიმრე  
და ვკითხე: ხმები დადის ქალაქში თითქმის ზე რომ  
ინცინდენტი მოხდა იმის გამო მოკვლა ინსპეკტორ-  
მა თავით და მართალი არის თუ არა მეთქი?...  
შე ისროლა, თავი შეუშვირა, გაგრენია! ტყუ-  
ლი არისო.

თსა. რაიო, რაზე ატყდა ასეთი ალიაქოთი  
ჩემს სასწავლებელში

ხოსტა. გაგისთვის კაცები კი არა კაცი  
„ბოვშს“ ვერაფერი გზით ქართული ვერ ვალაპა-  
რაკე! ვიშლიერი... ვკითხე მართალი არის თუ  
არა მეთქი!

ასია. ჰო, მართლა რა გითხრა? რატომ ქართულს კარგათ არ ვასწავლითო?

ხსნა. ტყუილი არისო, მე ქართულის ლაპარაკი კარგა ხანია არავისთვის დამიშლია, ჭორები არისო, ქართულს თუ ვერ სწავლობენ თქვენი პავშები, თქვენივე უნიჭობის ბრალიათ. **თუმცა** უკაცურული პასუხია **სტეფანე** ძიმსტარაშვილისაც მიუძღვის ბრალი, მაგრამ თუ დმერთი გრწამს მაგ ჩვენში დარჩეს ნურავის ეტყვის.

ასია. რაიო რისთვის?

ხსნა. თუ ღმერთი გწამს შენც ნურავის ეტყვი ჩვენში დარჩეს. რაიო და **სტეფანეს** მუზა, ამ სიბერის დროს ძლიერ მობლაუჭებია და არ ცილდეთ; იგიც სულ სწერს... მაგრა რომ არ იყოს ჯერ თურმე იგი მოსწავლე ქალებს თავის პოეზიას აცნობს. **გაკვეთილებზე** სულ იმას უკითხავს, აგრეთვე ძლიერ აფასებს თავის ნიშს, სხვებს კი იგი თურმე მჯღაბნელებს უძახის.

ასია. უკველაფერი კარგი, მაგრამ მეექვსე გაკვეთილზე ბავშებმაც რა უნდა ისწავლოს, როდესაც მათ სუ „კატლეტები“, შემწვარი ქათმები ელანდებათქო, ვერ უთხარი?!?

ხსნა. **მს** ხომ ჩემი ბრალი არ არისო, სულ კველგვენ ამდროს არის ქართული გაკვეთილები და მე ხომ ვერ შევცვლიო.

ასია. **სულყველაფერი** კარგი მაგრამ რეტროგრადობა რისთვის დავიწყეო.

ხსნა. შენი არ მიკვირს, რეტროგრადობა კი არა ეს შტუჩა იყოვო. ძუსტინოვიჩი რომ წავიდა სულიერ მემკვიდრეობით მე დამტოვა დმ როგორ უნდა მოვქცეულყავიო! მე ვუთხარი ასე არ ვარგა მეთქი ასეთი შურის და შუღლის ჩამოვდება ორ ეროვნებას შორის საკადრისი არ არის მეთქი, ჩვენ რუსებს ისე ვუყურებთ, როგორც მშობლებს მეთქი, თქვენ კი გინდათ, რომ შეგვაძულო მეთქი. **თქვენ** ბავშების სულიერი აღმზდელი ხართ და რეტროგრაონბა რა თქვენი საქმე არის მეთქი. პირიქით თავი უნდა შეაცვეროთ მოწაფეებს კეთილი რჩევით და დარიგებით მეთქი, ისინი უნდა აამაღლოთ ზნეობრივიათ და გონებრივათ მეთქი, თვარი ქართველს რომ რუსი შეაძლო, რუსს ქართველი, ამით ვერაფერ სარგებლობას მოიტანთ მეთქი, კიდევ რამდენი „მეთქი“ ველაპარაკე, ვინ მოსთვლის, ამასობაში იმას თურმე „გული მოსვლია „ეტო ნე ვაში დელაო“ მითხრა და გადმოაბრიალა თვალები... იცოცხლე მე გამოვძუნძული გარეთ“.

ასია. მათი ჩემს ამბავს არ იყითხავ, როგორ იყო?! მივედი ქალების უფასო სასწავლებელში ვნახე გამგეც, მივესალმე, — მომესალმა თავაზიანათ, აგათგალა-ჩათვალიერე უკველაფერი, იცოცხლე

არგი მოწყობილი ის იყოს: „პარკეტის ჭალი შეღებილ-შელესილ — შეტყლაპულ-შეკონტავებული ყველაფერი. ამდროს გამოიარა ჩვენშინ პატარა ბავშმა „უკალოშოთ“, რომელიც ტალახში იყო გასვრილი, შეხედა გამგემო?! იცოცხლე იმას ამბავი დაუთია: რატომ „კალოში“ არ გაცვიაო“?! ბავშმა მიუგო ფული არ მაქვს და იმისათვის-ო- „ნე რასუედატ“, უკვირა გამგემ ისე ლონიერათ, რომ გულმა ფანცქალი დამიწყო, ფეხებმა კანკალი, ტანგა ძაგძავი, ძლივს მოვსულიერდი — შენ ნუ მომიკვდები ჩემო ხოსია. ზაგდო საწყალი ბავში, უკალოშოთ არ მოხვიდეო. მართალია ღარიბების სასწავლებელი კია, მაგრამ ღატაკებს კი აქ ადგილი არა აქვსო. შემდეგ ვუთხარი ჩემის შვილის ამბავი, არაფერი იცის, რატომ არაფერს ასწავლით მეთქი. იცოცხლე ის გაგულისდა, შენ თვითონ არაფერი იციო, მიყვირა. მს სასწავლებელი ჩემია, რასაც მინდა იმას ვასწავლიო. ჩვენ აქ ბავშებს სულ კველაფერს ვასწავლით: ჭამას, სმას, სიარულს, ცეკვას და სხვა. იმ კვირეში ამიტეხეს ქალაქის გამგეობაში ერთი ამბივიო. რა ტიპის არის ის შეკლაო, თქვა ხმოსანშა მორქაშვილმათ, იმის ბრალია თვარა გამგეობა სუბსიდიას დაგვინიშნავდაო. რა ტიპის არის რომ თქვა, როგორ თუ რა ტიპისა? თუ არ იცოდა, რეკლამა მანც წაეკითხა გაზეო „ზაკავკ. რეჩში“ ექ. ხუნდაძის. ასეთ თუ ისე მანც არაფერი იციან მაქ კურსდამთავრებულმა მოწაფეებმა მეთქი უთხარი და გამოვიქეცი აქეთ. ასე იყო ჩემო ბატონო. მაგრამ.... შვიდობით, შვიდობით, ილია მანუჩარიშვი მოდის ეგერ — ერთი საქმე მაქვს იმასთან, სხომის ვილაპარაკოთ.

ხოსია და ოსია.

## ნუ მომილოცავთ!

ნუ მილოცავთ მე აღდგომას,  
ჩამორეკეთ გლოვის ზარი,  
არ ამდგარა იგი ჯერ  
ძვლავ კვნესაა შესაზარი.

თვალებთ-მტირალს ვერ ახარებს  
გაზაფხულის სიონ გრილი,  
— გაშვრალთ კერას მეუფეობს  
ძვლავ წყვდიადი და — აჩრდილი.

მოების კორდზე წყაროთ ჩხრიალს  
უურს არ უგდებს არე-მარე;  
სოვლებს ბუნება ტირის გული  
ჩაბნედილა ნაზი მოვარე:

მუდა კი კვლავაც დაძრწის  
ისევ ურცხვად მსხვერპლს დაექებს,  
და მიტომაც ცრუ მოლოცვა  
ჩემ მკვნესარ გულს ვერ ახარებს...  
.. ხაბუჭიანი.

## ძ ე ლ ი გ ვ ა რ ი.

მოგეხსენებათ ჩვენში ძლიერ გახშირებული  
იყო და ახლაც არის გვარის ქება, განსაკუთრებით  
ბრწყინვალე წოდებაში როდესაც ისინი შეზალხო-  
შებიან.. თავადებს მოუვიდათ დიდი მიწვე მოწვევა.

— ჩემი გვარი თამარ მეფიდან მომდინარე-  
ობს, — თქვა ერთმა: — სულ ყველა დიდის თანამდე-  
ბობის ყოფილან.

— ჩემი გვარი კი უფრო აღრე დამკვიდრებუ-  
ლა, — თქვა მეორემ რომელსაც როგორც ეტყობო-  
და დიდ რამედ მიაჩდა თავის თავი: — ქართველებმა  
რომ ქრისტიანობა მიიღეს მაშინდელი გაღმოსახ-  
ლებულნი ყოფილან „პერსიდან“ და სუსელა  
ერისთავები ყოფილან.

— ჩემი გვარი კი სულყველაზე ძველი არის,  
— მედიდურათ წამოიძახა მესამემ: — ზარნაოზ მეფე  
ყაფილა თურმე ეჭ, იქიდან მომდინარეობს და  
თურმე ისეთი ბიჭები ყოფილან რომ სულყველას  
ღენერლის ჩინები ქონიათ.

— ღენერლობა მაშინ ვის გაუგონია, ეგ ხომ  
მრეკლემ შემოიღო ჩვენში — გაუსწორა პირველმა.

— თქვენი არ მიკირს მრეკლეს დროს გე-  
ნერლობას რა უნდოდა ეს ხომ რუსებმა მოიტანეს  
ჩვენში — თქვა მეორემ.

— რას ჩურჩუტობ კაცი ის კი არა ეს ზარ-  
ნაოზიდანაა, პირველათ ერთ ჩემს გვარ კაცისთვის  
მიუცია გენერლობა — სთქვა მესამემ.

— მართლა შენ ბურდღულფბ შე ცოდვის  
შვილო შენი გვარი გენერალი თავის დღეში არ  
ყოფილა და არც იქნება, მიტრაძე გენერალი, შენ-  
მა მტერმა გაიგონა მაგისთანა — თქვა ისევ პირველმა.

— მიტრაძეები იცოცხლე კარგი თავადის  
შვილები იყვენ, მაგრამ იმათი ღენერლობა კი არა-  
ვის გაუგონია — შექებით უთხრა მეორემ.

— სულ ყველა გენერლები ყოფილან, სულ  
ყველა, ზარნაოზზედ უფრო იღრეც გულმოსულათ  
წამოიძახა თავადმა მიტრაძემ. და ულვაშებს  
წიწვნა დაუწყო სიბრაზისგან.

— ტყულია, ტყული! წამოიძახა ისევ პირ-  
ველმა.

— მართალია მეთქი მართალი — დაიღრიალა  
მიტრაძემ და თან ხანჯალზე ხელის მოსობით წა-  
მოიწია.

— მოიცავეთ კაცო რა გაყვირებო — სთქვა  
იმივ სუფრაზე მჯობმა ევროპიულათ ჩაცმულმა  
კაცმა, რომელსაც როგორც სახეზე ეტყობოდა  
არაფრათ ეპიტნავებოდა მათი ლაპარაკი: — თავადი  
მიტრაძე მართალია, იმდენათ ძველია მისი გვარი,  
რომ იმაზე ლეგენდაც არის დარჩენილი ხალხში.

— მართლა? თუ ღმერთი გრწამს მითხარი  
რა არის? — სიხარულით დაეღრიჯა მიტრაძე: — მე მინ-  
და ისტორია დავსწერო ჩვენი გვარის და ცნობები  
კი ძლიერ ცოტაა ამის შესახებ ჩვენს ისტორიაში.

— აი საქმე რაში ყოფილა, — დაიწყო ევრო-  
პიულათ ჩაცმულმა: — ღმერთმა რომ ადამი და მედა  
გააჩინა, თქვენ კარგათ გეცოდინებათ, მაშინ ღმერთს  
უფიქრებია, მოდი წესრიგის დასაცავათ ადამს გვარს  
მიუცემო. ხამი დღის ვაღა მიუცია ადამისთვის გვა-  
რის ასარჩევათ, ადამს და მედას ბევრი უთათბირე-  
ბიათ, შემდეგ აურჩევიათ გვარი მიტრაძე.

მესამე დღეს მისულა ღმერთიც.

— რა ქენი ადამ აირჩიე გვარი? უკითხაც  
ღმერთს.

— რასაკვირველია ავირჩიე.

— რა გვარი?

— მიტრაძე, ჩემო გამჩენო.

— როგორ თუ მიტრაძე?!

განრისხებულა ღმერთი: — მე შენ სამი დღე  
რაც შეგვენ შენ კი ასეთი ძველი გვარი იგირჩევი  
და იგი გინდა დაისაკუთრო. მაშ შენ ღენერლო-  
ბასაც მომოხოვ არა?!

— დიახ, ბატონო! განა მიტრაძე ულენერ-  
ლოთ გაგონილა.

ძრალვით მიუგო ადამმა.

ღმერთი მრისხახებდა, მაგრამ სიტყვა მაინც  
ვერ გატეხა და ადამს კიტრაძეობა და ღენერლო-  
ბორივე უბობა.

??!

სერგო.

\* \* \*

არსაიდან ხსნა... ისევ ტანჯუაა,  
ისევ დარდები, შავი ფიქრები,  
სულ უმეგობროთ მოხეტიალემ  
ვერ მოვიმორე ბოღმა, დარდები.  
ჰეხ, ბევრი ვძებნე, მაგრამ ვერ ვარვე  
მალამო ჩემის ტანჯულ გულისა.  
ვერა, ვერ ვნახე, ისეთი ვინმე,  
რომ დამიმშვიდოს, შვოთვა სულისა.  
გ. სანიძე.

## კაჭი წერტილი.

(ნაწყვეტი).

შველაფერი სდუმს... შველაფერი სიჩუმით  
არის მოცული... პლაზ ისმის ხმა ნუგეშისა... ხმა  
გამხნევებისა... ტირის გრძნობა... გვლოვიარობს  
აზრი ცხოველი...

— რა ამბავია, რა მოხთა?!...

— ისევ სიჩუმეა...

დიახ, ისევ სიჩუმეა და ვინც ამ სიჩუმეში სა-  
იდუმლოთ ამჩნევს მაინც „პაჭია წერტილს“ ბედ-  
ნიერია ის, რა თქმა უნდა თუ კი არსებოს ბედ-  
ნიერება... ბედნიერია მისთვის, რადგან მხოლოდ  
მას შეუძლია ჰქოვოს რაიმე აზრი თვისი არსებო-  
ბისა.

პრ. ბუჯ.

## ქ უ ჩ ა ზ ე პ.

(უძღნი ე—ნეს.)

ნაწყვეტი.

აი, იქ... სადღაც ბნელში, საბრალო ქალი  
სტირის და მოსთქვამს: ხმა დაბლა, ჩუმათ...

ვინ იცის რაზედ? თვით არას სჩივის! მგება  
შია ან და სწუურია? სჩანს რომ საბრალოს რალ-  
ცა სტანჯავს და ვერას ბედავს, ვერასა ამბობს.

ნეტავ შემეძლოს მეც დავებმარო, რომ ცო-  
ტათ მაინც შეუმსუბუქი მას ცრემლი მწარე. ვინ  
კითხავს იმას: თუ რისთვის სტირის და რისთვის  
მოსთქვამს? ვინდა დაეძებს მტირალს — მკვნესავსა?!?  
მაძღარს — მშიერი მოზარებია, მხიარულთ — მწუხრი  
არა სურთ, არა...

ის მტირალია, და მტირალს განა თვალით  
შეხედვენ?! არა და არა... ბედნიერები მხიარულო-  
ბენ ურცხვად იკაზმენ თავსა და ტანსა...

ის დღესაც სტირის... სტირის და მოსთქვამს,  
იქ სადღაც ბნელში, თავის წარსულს და მომავალ  
ტანჯვეს.

ას.-ამ. დონ-ლანი.

სეირი, 25 მარტი.

## მესტვირული.

მუთათურებისათვის.

აღდგომის კვერცხსა ვფიცავარ  
სტირისა არა ვარ ჩვეული,  
მაგრამ რას იზამთ, როდესაც  
მუზა გეწვევა წყეული.

გაუძლებ მუზის წვევასაც  
და აუზონდ ფარის არითო.

მაგრამ რა უთხრა სერგოსა  
როცა მისგან ვარ წვეული.  
მხ! არ დავეძებ არაფერს  
და გაუდგები ჩემს გზასა,  
სიცილ-ტირილით გავცერავ  
სტირისათვის დამკვრელ გუდასა.  
ჯერ ვესტუმრები „ტიმჩენკოს\*“  
„ზარს ჩამოურეკ კარზედა“,  
გამოხედვისა უმალვე, მივაკრავ  
„ვეფხვის ტყავზედა“. —  
„შოთას“ რომ წამოვალანდებ  
იქვე მყავს პაკ-ილია,  
ალბათ არ იცის ესენი  
რომელი ერის შვილია.  
როცა გაიგებს, შეკერთება  
თუ კი დედის შვილია,  
თუ არა „ფური“ მის მშობელს  
შორს მის-გაზრდილი შვილია.  
— მხლა გაუვლი „რუბანსაც“  
მასაც „ტიმჩენკოთ“ წოდებულ  
შფასო შკოლის დევ-გმირსა  
აქიდ ხუნდაძის შექებულს.  
გაუვლი, მაგრამ ვაი რომ  
„პოლი“ დამირჩეს „საჩისტი“  
და ვა თუ „უკალოშობით“\*)  
ვერ გაუკეთო მას „ჩესტი“.  
„ჩესტი“ იმისი, ხო იცით  
ციხის აქიმსა უქია,  
„რეკლამისათვის“ მას თურმე  
სიტყვები წარმოუთქმია.  
რა კი ხუნდაძეს ქე ვიცნობ  
მასთან ხომ მისვლაც მეტია,  
და თან სიფრთხილეც ქე მმართებს —  
არ მომცხოს ჯოხი კეტია.  
— ჭამოვალ ისევ, ვეწვევი  
ნაცნობ „შებორკილ კალსაო“  
შურჩევ გაიძროს „ის“ კაბა  
და დაემსგავსოს ქალსაო.  
მაგრამ, ევრიკა! რას ვამბობ  
ბალავცო მგონი გზასაო,  
„კაბის გაძრობას“ რომ ვეტყვი  
ხომ კი გამიხეთქს თავსაო.  
არა, სჯობს ისევ დავბრუნდე  
ბელა არ ვუძღვნა თავსაო,  
რადგან „კალებთან“ ბაასი  
მშმაქმა დააწესაო.  
მოგხიბლავს, მიგიახლოვებს  
სულში ჩაგიძვრენს ჯერაო,  
ჯემდეგ მისგანვე გახთები  
სიკვდილის ბედის წერაო.

„იარმშენის“ კი, რითმისთვის

ვაცილებ წერე მეტ მხელო.

\*) მის მოწაფებს, თურმე კალოში უნდა ეცვას თუ უნ-  
დათ აცონ ჭოლების წმენდას:



მხლა ნახვამდის მკითხველო  
გერ გნახავ დღეის სწორამდე,  
ბიბლიოთეკაში მივდივარ  
იქა მაქვს საქმე მანამდე.  
ასკ. პროკოფია.

## „ნამწვავები“.

დილით ისეთი დაღვრემილი მივდივარ ხოლმე  
რედაქტირაში, რომ კაცს შეყვარებული ვეგონები...  
გაივლის ხოლმე ლამაზი გოგონა, მომაცქერდება,  
მომაცქერდება და წყნარად წასჩურჩულებს ხოლმე  
ამხანაგს:

— გესმის, ეს ყმაწვილი შეყვარებულია!  
— რა ვუყოთ — ეტყვის ამხანაგი — საერთო სე-  
ნია, ეხლა ხომ გაზაფხული დგება.

ეს, სულ სხვაგვარადაა საქმე. მე არც გაზაფ-  
ხულზე მესმის რამე, არც შეყვარებული ვარ... მე  
თქვენი უმორჩილესი მონა, მწერალი, მშიერი ვარ...  
მუდამ მშიერი... ხშირად თამბაქოს ფულიც კი არა  
მაქვს, მაგრამ როგორა გვინიათ თქვენ? ეშმაკო-  
ბასაც ვახერხებ: დიდის სიფაქიზით ვინახავ ხოლმე  
პაპიროსის „ნამწვავებს“, რომ ქამსა მას შინა უთუ-  
თუნობისასა მისალბუნოს, მიერთგულოს...

იმ დილით ძალიან ადრე ვდექი საწოლიდან,  
რადგან წინა-ლამით გადავწყვიტე, რომ საღმე უნდა  
ფული მეშვენა უსათუოთ. მაღალდები რიგზე და-  
ვაწყვე, და ის იყო რედაქტირისკენ უნდა გავდგომო-  
დი გზას, რომ რთაში მოსამსახურე გოგო შემო-  
ვიდა...

— ლიზა, შე წყეულო, რა უუჟუნა თვალები  
გაქვს-მეთქი — უნდა მეთქვა, მაგრამ იმან დამასწრო:

— მს რამოდენა მტვერი დაგროვილა რთაში,  
ბატონი! კლიტე დამიტოვეთ რომ დავგავო:

ბაწითლებულმაგაუწოდე გასალები მოსამსახუ-  
რე ქილს.

— ილო, შენ გენაცვალე, მასესხე ცოტა ფუ-  
ლი... უფულენცია მჭირს — შევევედრე დეპეშების  
თარგმნაში ილაჯ-გამწყდარ ილიკოს... როდესაც  
დაღვრემილი შევედი რედაქტირაში...

— არა მაქვს, ძმაო, არა მაქვს, აბა რა გი-  
ყო? — ხელების შლით მიპასუხა იმან... — აი, თუ  
გინდა ერთი შაური მაქვს.

მერიკა! მე ერთი შაური მაქვს, ამითი მე თა-  
მამად შემიძლია პური ვიყიდო, მაგრამ პაპიროსი?  
სად ვიშვეო პაპიროსი?..

მართლა, სახლში ხომ „ნამწვავები“ მაქვს შე-  
ნახული, რათე მიშავს, დღეს დაკარგილებული  
ვარ...

ბახარებულმა გავსწიე ბინისაკენ შევალეროვა-  
ხის კარები, ვეცი თაროს; სადღაა „ნამწვავები“?  
— ლიზა, ლიზა!  
— ბატონი! — შემოვიდა ოთახში მოსამსახურე  
გოგო.

— აქ მე ისინი მქონდა... ისინი...  
— რა „ისინი“?  
— აი აქ, თაროში...  
— თაროში არაფერი არ ყოფილა, აქ მხო-  
ლოდ პაპიროსის „ნამწვავები“ ეყარა...  
— მერე, მერე?..  
— რა მერე?  
— რა უყავი იმ ნამწვავებს...  
— რა თქმა უნდა გადავყარე...  
— გადაყარე?.. მართლა?.. ძალიან კარგი  
გიქნია... ეხლა გადი...

ბანცვიფრებრლი ლიზა გულ-უბრყვილოთ მომ-  
ჩერებოდა, ვერ გაეგო თუ რაში იყო საქმე... იმი-  
სი თვალები ისე საუცხოვო იყო იმ წუთს.

— ლიზა, შე წყეულო, რა უუჟუნა თვალები  
გაქვს-მეთქი — უნდა მეთქვა, მაგრამ ენამ მხოლოდ  
ეს წამოილულლულა:

— ბატონებო, ბატონებო! ყურადღება მიაქ-  
ციეთ ჩვენი მწერლების აუტანელ მდგომარეობას  
მეთქი...

გალაშკა.

## ვანოს თავგადასავალი!...

ხო — შევტო ბატონებო და ქიარ მაფიქრებიეს  
მეც ქალის შერთვა!... მარა რაი მერე?! წინათ,  
ბევრი მეძლეოდა ღმერთმანი ლამაზი და მოხთენილი  
ქალები და ახლა?! შენც არ მომიკვტე, სადაც წი-  
ვედი, ან წამიკვანეს, სუყველგან გონჯი ბატონებო,  
მახინჯი, ფეხ-მოტეხილი, ყრუ, მუნჯი, ელამი,  
ბრუტიანი და ჯოჯო?!? ჯოჯო, მარა რა ჯოჯო?!  
იმე, ბრუტიანი, მარა რა ბრუტიანი?! კოჭლი მარა  
რა კოჭლი?! ყრუ მარა რა ყრუ ბოშო?! დემეხსენი  
შენიჭირომე... ბოშო, ყრუ კი მინახავს მარა თლათ  
ყრუ?! მუნჯიც შემხვედრია მარა თლათ მუნჯი?!  
კოჭლი მარა ფეხმოტეხილი?! ი, ნუ მეტყვი ბატო-  
ნებო... რომ იტყვიან: „ვაის გევეყარე და ვუის  
შევეყარე“, სწორებ შე მემართება თქვენიჭირომე...  
ო, ღმერთმანი... მაინც სად იყო ამდენი ჯოჯო?!  
ამდენი მახინჯი?! სადაც გავადგი ფეხი თუ არა  
მაშინათვე მაჭანკალი და მაჭანკალი... პირდაპირ  
ჩემზე მოუცლიათ ამ დაწყევლილებს... მარა, არ  
მოგეკვტეს... ჩემი თავი და არც ჩემი გულქანა  
მე ამართები შემაცონონ... პატარა კიდე დამი-

ცადეთ ბატონი და აგერ ახლავე გეტივით ყველა-  
ფერს, თუ რა დემებართა?...

ზუშინ გვეიხედე ბატონებო და ქერო წისკვილ-  
ში ბორბალი ტრიალობს? იმე, რავა არ იცით ოქვე-  
ნიჭირიმე!! და ქუჩაზე რო ახალი წყლის მიღებს  
აკეთებენ, ეჭ სწორებ იმ დროს მევიდა ბოშო ვი-  
ლაც აფთაქარია თუ თიაქარი კარგათარ ვიცი—და,  
მეც ვიფიქრე ეს არის სწორებ ავშენდი კაძახი თუ  
წამლები მომიტანა (მაშინ ჩემი დედინაცვალი ეკა  
ავათ მყავდა ბოშო) და უკვე სულუხონებული ჩემი  
დედინაცვალი სიკედილს გადამირჩინა-მეთქი?! აპა,  
„კაკო ტამ!!—ტაკო დელა?! თურმე მაშვალია,  
მაშვალი... მაშვალია მარა, რა მაშვალი ბოშო,  
უკეთესი ნეტუ!... ისე გაასალებს ქუთეისის ბულვა-  
რის ბარიშნებს, რომე—არც ბამბა დასჭირდებათ და  
არც ვატა... ოჭ ღმერთმანი... იო, დასწყვევლის  
ღმერთმა მისი სახელი! იმდენი მელაპარიკა ბატო-  
ნო, იმდენი მიჩურჩული ხან-ჰარუსკი ბატონო და  
ხან რუსკი, რომე, ზე არ დამათანხმა ამ წყეულმა  
ყველაფერზე! ქე არ უნდა წავყვე ბოშო?!?... წავ-  
ყვე ბოშო, მარა სად წავყვე?! რომ არ ვიცი, ბო-  
შო!!! ზოგი რუსუსულათ ილაპარაკა და ზოგიც  
ღმერთმა არ იცის იმისი თავი... „ბალნიცაში ლა-  
ზარეტი—აღლენიეო!!! პრავლენიე პალატაში ჩი-  
ნოვნიკიაო?!? მე ვიფიქრე ალბათ ჩინოვნიე ყო-  
ფილა ღმერთმანი პრავლენიეს პალატაში-მეთქი?!  
და ბალნიცა—ლაზარეთის აღლენიეში გადაუყვა-  
ნიათ მეთქი?! იმე, ის კი არა ბოშო, თურმე ის  
ქალი, რომელიც მე უნდა მენახა ავათმყოფი ყო-  
ფილა,—ავათმყოფი და ღმოროდს, ღმოროდის—სა-  
ღმოროდეში დაუწვენია და ახლა ლაზარეთს იგი  
ოდელენიეში მოუთავებია... რაც იყო, იყო და  
ხო წევედი... წევედი მარა, რა წევედი თუ იცით?  
ისე გევიარეთ ულიცები რომე ერთი ქუჩა არ შემ-  
ხვედრია... შეუ გზაზე, რომ ვარ და ქი არ მომ-  
წყურდა ბოშო?! პაჭია შევჩერდი: ავხედ-დავხედე  
ჩემ მაჭანკალს და ვიცოცხლე ბარე-ორი წყუპურტაი  
მოწყუპურტობდა მის შუბლზედ...

— იდომ, იდომ, დუხან ოდეკა ხოჩეტ მეთქი?!  
წავბლე ხელი და ზე წავაჩინჩილე—რუსული ნაბი-  
ჯით.

— აპა დუხანჩიკ! ადინ პატარა, ღრუგოი დიდი...  
„ნაპი-ვაი“, „ნალი-ვაი“... ისე ვაი იმის და ვუ  
ქუთეისის პოდრიაჩიკებს, როგორც იმან მალე გა-  
ათავა. დალია ერთი, ქი არ მოითხოვა ღრუგოი...  
კიდო არ პრაწავს თვალებს?! იმე, დავაბლე ხელი  
და სულ ჩინჩილით წამოვიყვანე-იქიდან.

ბევრი ვიარეთ და ბოლოს მიველი როგორც  
იქმნა ზრიგოლა ჩიუ-ჩიუ-კრა-ძესთან... მისვლისთა-  
ნავე დავინახეთ; მარა რა დავინახეთ?! ეშმაკი, ალ-

ქაჯი, ჯოჯოხეთის ჯოჯო, საქაჯეთის—ოუნჯირ.  
იმე, ახლა რო გამახსენდება ტანში გამაძანძალებს...  
შევხედეთ, მარა რა შევხედეთ? ადინ გლაზა აქვს,  
მეორე გლაზა ნეტუ, ერთი რუკა აქვს, ღრუგოი  
არა!.. იმ ღვთისგან შეჩვენებულს, ასე წარმოიღი-  
ნეთ ბოშო გონია ათი თითო ება და ორიც პატა-  
რა ბზუკა. წელი?! წელი ჩამოვარდნილი, კაბის ნა-  
ოჭი (თქვენთან უკაცრავათ და ზე კიბის დაბლა  
მუხლების კოჭებთან ერთათ ქონდა) კბილები სულ  
ჩაცვენილი. თმი მოპარსული. თურმე ღმოროდის-  
საღოროდო საღორეში მოუპარცავთ, რადგანაც  
ტვინის კირკიმალის თუ ხირხიმალის და მოზგის  
უელეზის ანთება ქონდა. ცხვირი, ცხვირს ნუ  
მეტყვი შენიჭირიმე! ორი არსენას არშინი და ერ-  
თი მისივე ხელის დადება ექნებოდა სწორებ. ოჭ  
ღმერთო, აწი მაინც დამიფარე ასეთი სანახაობი-  
საგან... ღვიწერე პირჯვარი და მოვბრუნდი. მოვ-  
ბრუნდი მარა, სახლში წასვლა არ გინდა ბატონო?  
სუყველა კარები დახხურათ იმ ჩემი ცოდვით სავ-  
სეებს!.. აი აქეთ მივარდი, იქეთ ვეცი და თავი  
ვერსაიდან დავიძრინე, ბოლოს როგორც იქნა  
ღია ფანჯრიდან ვისკუპე და ზე მეორე სართული-  
დან ბრაგვანი გავადინე ძირს. კარგათ არ მახსოვს  
ცოცხალი გადავრჩი თუ არა...

## II

მეორე ღღეს გამომიშვეს ბატონებო იქიდან,  
აი, (უკაცრავათ პასუხია) ბნელ აბანოდან!... მიზე-  
ზი არც ღღეს ვიცი, ღმონდ პორტოკოლში სა-  
პორტოკოლე იქმი ასე სწერია:

„ადინ გალავა რაზბიტო“, მხოლოდ ღრუგოი თელია,  
ღრუგოიც მალე გატყდება, მარტო დაგრჩება ხელია,  
ხელსაც მოიტეხ, ფეხებსაც, იჯავრებ-იკვნეს ბევრსაო!  
როს მოგდგებიან გაგოლენ, ზურგზედ გადენენ  
ბდლვერსაო!

შენ რომ ფანჯრიდან გაღმოხტენ

მაშინ გატეხე მილიო...

(ალბათ ეს ქუთეისის წყლის სადენი მილი თუ იყო?)  
ჩვენ კარგათ გიცნობთ რაცა ხართ...

ვაჟაბატონი და შვილიო!

არ გეყოფოდა მარტო შენ, გეჭამა ლუკმა პურიო?  
რომ სხვებიც შემოიერთე—საზარი ჩვენთვის დგმურიო.  
ზვაცადე, ამას გაკმარებოთ? მოვძებნით შენს გზას  
კვალსაო;  
რომ ნელა-ნელა ისტუმრებ ძველათ შეძენილ  
ვალსაო.

შუთაისი.

ას.-ამ. ღონ-ღან.



# სატრ ფოს.

(ჩასესათ).

მოტყუებულხარ, გითხრა მართალი,  
 თუ იმას ფიქრობ რომ დამავიწყდი  
 და შენს მაგიერ, ჩემო ღვთაებავ,  
 სხვას შეუერთდი, დაუკავშირდი!  
 მე ის წუთები, ისევე მახსოვს  
 წინათ რომ იყო ჩვენთვის ნეტარი,  
 მაგრამ რა გიყო, როცა რომ შეა  
 ჩამოგვიფარეს სევდის ზეჭარი!?

მოგვისპეს ნორჩი ტრფობა აღერსი,  
 არ შეიწყნარეს ჩვენი მუდარა;  
 შენდათ რომ მოკვედეთ და მოგვიმზადონ  
 ბნელი სამარე, კუბო, სუდარა!?!  
 — შენი წერილი როს წავიკითხე  
 ბულში ჩამესო, როგორც ეკალი;  
 ბფიცავ განგებას, ბევრათ მიჯობდა,  
 რომ მოსულიყავ და მოაგეკალი!  
 რისთვის მიწოდე შენ ეგ სახელი: \*)

რით შეგიძლიან რომ დამიმტკიცო  
 მე შენი ტრფობა არა მსწურია!?

თუ ფიცი დავსდე, კიდეც ვასრულებ,  
 არც გიღალატებ მინამ ვიქნები;  
 შენ ჯერ არც იცი ჩემო სიცოცხლევ,  
 მე შენის ტრფობით როგორ ვიწვები!...

და, დავიწვა, ამას არ ენაღვლობ  
 მხოლოდ დამყარდეს კი სიყვარული,  
 და ვიტანჯო, მხოლოდ გველირსოს  
 და მოგვევლინოს კვლავ სიხარული!!  
 „— ტი გ—წაძე.

## პარგი მეუღლე.

(სატირიკონიდან).

— რამ შეგაწუხათ ასე ქალბატონო ანა მიხაილოვნა!?

— როგორ რამ შემაწუხა გენაცვალე ჩემს  
 ქმარს სამი თვის ციხე მიუსაჯეს!..

— მაგისთვის არ შეიწუხოთ თავი, დროისე მალე  
 გაიკლის რომ ვერც შეამჩნევო.

— და სწორეთ, მეც მაგაზედ ვწუხვარ, რომ  
 თავისუფლება ისევ მალე ამელაგმება,

\*) სატრფომ მიგიხვთეს ეს წერტილები...

## ცოდვილი.

— რას შვრებით ხომ კარგათ სცხოვრობთ  
 ქალბატონო?

— მე გავეყარე ჩემს ქმარს, იმასთან ვერ  
 გავძელ ის მთლათ ვირი ყოფილა.

— მაშ თქვენ დაარღვეით მეათე მცნება არა?!

— სრულიადაც არა იქ ნათქვამია: „არა გუ-  
 ლი გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“-ო  
 ეს ვირი კაცია თვარა ქალი კი არა.

— მგ მართალია, მაგრამ იქვე ნათქვამია  
 „არცა კარაულისა მისისასა“-ო.

— ?!!

\* \* \*

შენი ტურფა სახე ცელქი

როს ვიხილე, — უცებ შევკრთი,

და სიმბოლოთ სიყვარულის

შენ დაგსახე მხოლოდ ერთი.

— და ამ დღიდან, გეფიცები

გამიტაცე... შემიყვარდი;

შენზე ფიქრმა დამერწმუნე —

გამიქარვა ურვა, დარდი.

ძოლა ქუთათელი.

## ახალი ამგები.

როგორც გავიგეთ, დ. მესხისთვის, მთავრობას  
 ნება არ დაურთავს „შრომით“ იცხოვროს. შელიე  
 კი ჯერჯერობით — „იმერეთშია“.

◆ რაღაც ქალაქის გამგეობამ თეატრის ასა-  
 შენებელი ბინა სხვაგან ვერ უპოვნია, ამიტომ აზ-  
 რათ აქვთ — საფიქსიის სასაფლაოზე ააგონ.

◆ მუთაისში გვესტუმრა დეპუტატი ორი  
 ჩერიძე და ბეგებეგორი.

◆ შაბათს 7 აპრილს მუთაისს  
 „პლუბში“ გახლდათ უველიერი.  
 „მასკარადი“ გაგვიმართეს  
 საჩუქრებით შვენიერი.

◆ რაღაც ეხლანდელი ილ. ჭავჭავაძის თხუ-  
 ზულებათა გამოცემა იაფ-ფასინია და „რვა მანეთ-  
 ზე“ მეტი არა ღირს, მუშებისთვისაც ხელმისაწვდო-  
 მია და ურჩევთ ხელი მოაწერონ,

◆ ამ დღეებში ქუთაისში ორი გაზეთი გამო-  
 ვა: ერთი ქართული და მეორე რუსული. ქართული  
 იქნება სამთვისცხო და ერთქმევა სახელი „ტიხე“.  
 რუსული კი როგორც ამბობენ „კიტ. ჯიზნი“-ის


გაგრძელება, მაგრამ ვეკვობთ, რომ გაგრძელდეს თუ მოუსწრო ქართველების „შრომაშ“.

◆ ამ ვვირაში თუ არა, იმ კვირაში ქალაქის ბიბლიოთეკა მიიღებს 2000 მანეთის წყვნს. (კი არ ვხუმბრობთ).

◆ როგორც გავიგეთ, ერთს ქალბატონს, თავის ქმრის მზარეული სასტიკათ დაუსჯია, მიტომ რომ მწვადი ნაადრევათ შეუწვია მისთვის და მირომევამდის გაცივებულა. ამის შესახებ შეკითხვა მოხხება „სახელმწიფო სათათბიროში“. ჰეპ. 8 — საგან.

## დეპეშა.

შალაქის გამგეობაშ დადიან-ძანცელიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „თუ უული არ დაგვირჩა იმდენი. რომ დავიწყოთ წყალსადენი; ისევ გეწვევით ქუთაისს პირობის დასადების დამწერნი და დაგვახვედრეთ გ. მიქოძე დამცველი.



## მაშალის ფოსტა.

ქ. ქუთაისი. დავ. გოცირიძეს — თქვენი „შრისტეს მცნება აღსდგა“ სათაური კარგია, მაგრამ თქვენი ლექსი მაინც კალათში ჩაწვა. გვწერთ კიდევ გამოგიგზავნით, ვერ გამიგდა რა დანაშაული მოგვიძლვის თქვენთან ასე რომ გვიპირობთ დასჯას.


ფოსტი. „ივანეს“ — მივიღეთ თქვენი ლექსი „სტვირი“ კალათისკენ აქვს მოქცეული ცხვირი.

ქ. ქუთაისში. გ. იქათელს „სააღდგომო მილოცვები“ ახლა გვიან არის გაისათ აღდგომამდე კი კალათში შევინახავთ.

ზესტაფონში. „ავგულას“ — მივიღეთ თქვენი ლექსი მადლობას მოგახსენებთ რომ იოლათ გამოგვიყვანეთ, კიდევ გამოგიგზავნით ლექსისო იწერებით, მადლობთ შესანახათ ეგეც საკმარისია რაც გამოგვიგზავნეთ.

ლენქისფონში. „დროებით ლანჩენტელს“ — იწერებით ეს ლექსი დამიბეჭდეთ ოცდა-ათ ცალს „მაშალის“ გაგიყიდითო. მადლობთ ერთგულებისთვის, მაგრამ მაგ ლექსის თუ არ დაგვაბეჭდიებთ სამოცმაც თქვენი კირი წაიღისა.

ქუთაისში. „მუთათულს“ — რაღა ნუგეში მოგცე არ ვიტო. რომ ლექსის გამოგვიგზავნით ჩვენს სისარულს და მადლობას საზღვარი არ ექნება.



შესაბამის მიმართ გამოცემის ბატონი რედაკტორი!

ნება მიბოძეთ თქვენი უპატივცემულესი აღმანახ ჯოჯოხეთის მაშალაში ეს ჩემი ჯოჯოხეთური ამბავი დამიბეჭდოთ.

ზუშინ, მე — ჩემმა ცოლმა წინადადება მომცა: „თუ დღეიდან მოწაფის ტანთ-საცმელს არ ჩაიცვამ, ქმრათ აღარ მინდებარო!“ გთხოვთ ეს საკეთება აღიაროთ და მეც დარიგება მომცეთ თუ როგორ მოვიქცე? სწორებოცდა თვრამეტი წელიწადია რაც ჩერკესის ვატარებ და ახლა?...

პატივისცემით თქვენი აღმანახისათვის თავდადებული გუთუ-გუთუ.

რედაქტიამ გადაათვალიერა ეს წერილი და და-ადგინა, რომ ბუთუ — ბუთუმ ნება მისცეს თავის მეუღლას, რომ თვითონ ქალმა ჩაიცვას მოწაფე — ვაჟის ტანთ-საცმელი, რადგანაც მისი ქალი ნამოწაფარია.

## „მაშალის“ განცხადებები.

იძულებული ვართ განვაცხადოთ შემდეგი: აუ-არებელ ლექსებს ვღებულობთ, შიგ ვერაფერს ვერ ვგებულობთ. ზოგი სატრუს სწერს, ზოგი მეგობარს და მას არვინ არ ფიქრობს „მაშალის რედაქტია“ რა გაიცადენს განიცდის. ამიტომ ვურჩევთ ცველას: შეჩერონ ლექსების მუზები და მოგვაწოდონ პროზები. ვისაც სურს მანდამანც თვისი ლექსით დაატკბოს „სონები“, „გარები“, „ვერები“ და „როზები“, მათმა მოგვაწოდონ გროშები და—განცხადებების განყოფილებაში მოუთავესებთ.

შემდეგ ჩვენს „აღმანახს“ სახელით „სააქაოს მაშალა“ ერთქმევა. გთხოვთ მოგვაწოდოთ ცხელ-ცხელი ამბები.

ვლებულობთ სახუმარო განცხადებებს ზომიერ ფასებში.

რადგან, აგენტების ექსპროპრიაციის შიშით ჩვენც ვერ ვძელავთ აღმანახების პროვინციებში გაგზავნას, ამიტომ ვისაც სურს გამოიწეროს.

გამომცემელი სერგო გერსამია.